№ 253
ოთხშაბათი, 24 ნოემბერი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 253
ოთხშაბათი, 24 ნოემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 25 ნოემბერს,

ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

ახალი პიესა

**ქორწილი სოფლად**

ორგინალი ოპერეტკა 2 მოქ. ცეკვა-სიმღერებით. (სოფლის ცხოვრებიდგან)

II

**ბიძიასთან გამოხუმრება**

კომ. 1 მოქმედ., გადმ. რ. ერისთავის-მიერ

III

**მშვენიერი ელენეს მაძიებელნი**

ფარსი 2 მოქ., გადმოკ. ა. ცაგარლის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ტასო აბაშიძე; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე, და სხვ.

აგრეთვე ბ-ნ კავსაძის **ხორო**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაწაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმბართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## ექიმი

## კ. ს. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—43)

## ახალი ამბავი

* * კვირას, 21 ნოემბერს, საზოგადო კრება იყო ტფილისელ ხელოსანთა ამხანაგობის „შრომა“-სა. კრება დაიწყო საღამოს 6 საათზედ პატივცემულ ა. ნ. ფურცელაძის თავმჯდომარეობით და დაესწრო საერთო წევრთა რიცხვის ნახევარზედ მეტი. კრებას უნდა ამოერჩია ორი წევრი გამგეობისა და ორი მისი კანდიდატი, რადგან „შრომა“-ს წესდებით ხუთ-ხუთი წევრი უნდა ჰყავდეს და სამი კანდიდატი და ამ ხელად-კი სულ სამი წევრი ჰყოლია და ერთი კანდიდატი. კრებამ ერთ-ხმად ამოირჩია გამგეობის წევრებად ა. მ. ახნაზაროვი და დ. ი. გიგაური, ხოლო ამათ კანდიდატებად ი. დ. ღლურჯიძე და მ. გ. წერეთელი. შემდეგ კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა საზოგადო მოგებიდგან 15% მიეცეს ჯილდოდ გამგეობის იმ წევრთ, რომელთაც გარდაკვეთილი ჯამაგირი არა აქვთ, და 10% — სარევიზიო კომისიის წევრთ. დასასრულ, კრებაზედ ლაპარაკი აღიძრა სახელოსნოს შეგირდებისა და იმათის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. კრებამ ამოირჩია კომისია და ამ კომისიას მიანდო გამგეობასთან ერთად შეიმუშაოს წესები შეგირდების აყვანისა და შენახვის შესახებ. ამ კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ს. ტარიელიშვილი, ი. მაჭავარიანი, ნ. ციბაძე და ა. იერიკაშვილი.

* * კვირას, 21 ნოემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სა-

## ფელეტონი

### ბ-ნ ნ ჟორდანიასი და „მისთა ძმათა რეალური მამულიშვილობა“.

(„კვალის“ ორი მეთაური წერილის: („რომანტიზმი“ და „ჩვენი მწერლობის წვრილმანები“-ს) გამო).

„Всякій шагъ впередъ опредѣляется тѣмъ, что прочувствовано, а не тѣмъ, что понято“...

რიბო

(შემდეგი *)

მათი მონური სიერდგულე იქამდის მიდის, რომ მზად არიან მიწასთან გაასწორონ, ქვესკნელში გაარონიონ ის, ვინც იმათ ბატონს, კერპს რასმეს შეჰკადრებს, გამოელაპარაკება, ან გაეჯიბრება. სხვამ რომ არ იფიქროს და გულში არ გაივლოს ეჭვი—„ამათ უსათუოდ უმორჩილესი ერთგულება ჟორდანიისა ალაპარაკებსო“, ისინი ვითომ სიმართლის, ჭეშმარიტებისა და უტყუარის კრიტიკის სახელით გამოდიან ბრძოლის ველზედ. მაგრამ რა? ყველასათვის ცხადია, თუ რა ალპარაკებს იმათ... ამის შესახებ შემდეგ. ახლა დავუბრუნდეთ ბ-ნ ჟორდანიას—„რეალურ მამულის შვილს“ და გავიხსენოთ მისი წერილი „რომანტიზმი“.

ეს შესანიშნავი წერილი დაბეჭდილია „კვალის“ მე 25 №-ში. ამ წერილში ავტორი ჰღვრის „გველაშაპის ცრემლებს“ და გულამოსკვნით დასტირის ჩვენს ფუქსავატ ცხოვრებას, რომანტიულ მამულიშვილობას, ჩვენს მოუმზადებლობას, მიკერძოებას, „საერთო არარაობას“, სულიერ ბატონ ყმობას, გონებრივ დავარდნას, ზნეობრივ გათახსირებას, საერთო უსაქმობას, უშინაარსობას, უვიცობას და კიდევ ბევრს რასმე!

მაგრამ ვალაპარაკოთ თითონ ავტორი, რომელიც ჩვეულებრივად აქაც პესსიმისტობს:

„კრიტიკა ისე არასოდეს არ ყოფილა ყბადაღებული და ფეხ-ქვეშ გათელილი, როგორც დღეს არის, ამბობს ავტორი.—მიუდგომელი მსჯელობა, პირადი მოსაზრება, გულწრფელი მოქმედება მეტი შეიქმნა... გამეფდა ერთფერი და უსიცოცხლო გონებრივი აღებ-მიცემობა... ადამიანის სული წაწყვდეულია ოთხივე მხრით აღმართულ ზღუდეში... ის უფრთხის ყოველივე ახალს, სხვა-და-სხვაობას და შეჯახ-შემოჯახებას... ბატონ-ყმობა, მართალია, კაი ხანია მოისპო, მარა მოისპო ის გარეგნობით, ხოლო ჩვენი შინაგანი სულიერი წყობილება დღესაც ბატონ-ყმურია. დღეს ჩვენ გონებას ჩვენ გრძნობას, და ზნეობას ჩვენვე უყენებთ უფროსს, მბრძანებელს, ბატონს... ამ გონებრივ დავარდნას, ამ ზნეობრივ გათახსირებას ერთხელ კიდევაც ვჩიოდით, მასზე ვდრტვინავდით, ნაკლულევანებად აღვიარებდით... დავამაგროთ ის, რაც გვაქვს, რათ გვინდა ახალიო—აი, რა გაისმის აქა-იქ. და მერე რა გვაქვს? რა და არარაობა—მაშ დავიცვათ იგი! რა უნდა მოგვცეს ახალმა? რა და ყველაფერი—მაშ უარ-ვყოთ იგი! აი რას ქადაგობენ ჩვენში მესვეურნი და ამასვე იმეორებენ მათი ამყოლნი. ამათთვის ეს არის ხელ-საყრელი და კიდევაც იცავენ. ხელ საყრელია იმიტომ, რომ ამ საერთო არარაობაში მხოლოდ ესენი მოჩანან დევგმირებად... და კიდევაც წინ ეღობებიან ყოველივე ცვლილებას. ამის ერთი საუკეთესო ნიმუშია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება...

„და რაღა მარტო დაწესებულება, მთელი ჩვენი მოქმედება და აზროვნება ამ საძირკველზეა აგებული. მაგალითად ჩვენი მამულისშვილობა მხოლოდ ერთი რომანტიული მამულიშვილობაა და არავითარი კავშირი არ აქვს თანამედროვე რეალურ მამულიშვილობასთან... და ეს მერე რატომ? იმიტომ რომ ჩვენში სიტყვას მეტი გასავალი აქვს, ვინემ საქმეს. ილაპარაკეთ საქმეზე, ჩვენი ქვეყნის პირვარამზე მოინდომეთ ახალი ცხოვრების დამყარება, ერის წვლში გამართვა და სხ. თქვენს მამულიშვილობას საეჭვოთ გამოაცხადებენ. რატომ? იმიტომ რომ თქვენ საქმეს სიტყვაზე წინ აყენებთ, მამულის განახლებას თქვენ საქმით ცდილობთ და არა სიტყვით, მამულის სიყვარული თქვენ რეალურ პირობებზე გსურთ ააგოთ და არა მარტო გრძნობაზე.

„იმავე მოვლენას ვხედავთ მწერლობაშიაც... კარგი მწერალი ის არის, ვინც იმდენს მოახერხებს, რომ ბევრი ილაპარაკოს და არაფერი სთქვას. საქმის ძირიანად გასინჯვა, კითხვის გამორკვევა, მიუდგომელი მსჯავრის დადება—ამას არც მკითხველი ითხოვს და არც მწერალი მისდევს... ვისაც, რაღაც მიზეზისა გამო კეთილის თვალით უცქერი—იმან რამდენი სისულელეც უნდა წამოროშოს, მაინც დიდი ფილოსოფოსი ჰგონიათ; და თუ ვინმე აითვალწუნეთ—იმას აღარ დაედგომება თქვენ სიახლოვეს. ამ ჯურის, უკაცრავათ პასუხია, პუბლიცისტები მრავლდებიან.. ამათ რომ ჰკითხოთ, რა განძრევთ, რამ აგიტაცათ, რა საბუთი გაქვთ ან ქებისა და ან გინების პასუხს ვერ მიიღებთ და თუ მიიღებთ უთუოდ აბნეულს, დაულაგებელს, რადგანაც თვითონ არ იციან რას შვრებიან და ან რა უნდა ქმნან. მაგალითი შორს არ არის—აგერ ერთი წელია „ივერიის“ ფურცლებზედ ერთი ლანძღვის კორიანტელია აყენებული თქვენი უმორჩილესი მონის წინააღმდეგ, მარა არსად არც ერთი საბუთი, არც ერთი წერილის გარჩევა და სერიოზული აწონდაწონა. ცხადია, გაზეთს არ მოსწონს ის, რასაც ჩვენ ვადგივართ, ხოლო რატომ არ მოსწონს, რას შეიცავს დასაწუნს,—ეს მან არ იცის, ამის ანგარიში თავისთვის არ მიუცია, ეს ვერ შეუგნია და ამიტომ თავის უკმაყოფილებას გინებით ხატავს“.

აა როგორ ჰფილოსოფოსობს და მჭერმეტყველობს ბ-ნი ჟორდანია! მან პესსიმისტურ მოთქმა-გოდებიდგან დაიწყო, მერე შაბლონურ რეზონიორობა-ქადაგებაზედ გადავიდა და ბოლოს კი-ვერ იქმნა, ვერ ასცილდა თავისებური ძველებური ყოყოჩობა ტრაბახობით და რიხიან გაკიცხვით გაათავა! ის უკიჟინებს სხვას იმას, რის დამნაშავეც თითონ არის; აძაგებს იმას, რაც მართლა საძაგებელია, მაგრამ რაშიაც თითონ ყველაზედ მტყუანია! ამასთან ის გაუწითლებლად სტყუის, ჰყოყოჩობს, არავის არარად არ აგდებს, ყველას უმეცარს, შეუგნებელს უწოდებს!

მერე რად დასჭირდა ბ-ნ ჟორდანიას ამდენი ტყვია-წამალი, რეზონიორობა? რამ განარისხა ყოვლად შემძლებელი ზევსი? რამ დაუფრთხო „რეალურ მამულიშვილს“ ძილი?

თურმე ვიღაც „ავლაბარში გაზრდილ“, „ფლიდ, უგულო და მატყუარა“ მწერლებმა: „ვარ“-მა და „იმედგაცრუებულმა“ (იხ. „კვალი“ № 27 25), რომლებიც „გონებრივ-ზნეობრივად ლატაკი“ არიან (იხ. „კვა-

*) იხ. „ივერია“ № 252.

დგომში კრება ჰქონდათ „შუამავლის“ წევრთ. კრებამ, ხანგრძლივის თათბირისა და მოლაპარაკების შემდეგ, დაადგინა, რომ მომავალ 1900 წელსაც ივაჭროს და არ დაჰკეტოს მაღაზია, პირიქით ეცადოს მისის თანხის გაძლიერებას. გამგეობის წევრად ამოირჩია კრებამ ბ-ნი კანდელაკი. ამასთან კრებაზედ გამოირკვა, რომ მაღაზიას 3,000 მან. მეტი ნისია გაუცია, რომელიც არ უბრუნდება თურმე. კრებამ დაადგინა მიანდოს წევრს ამხანაგობისას ბ-ნს ა. მ. ახნაზაროვს მოსთხოვოს ეს ფული „შუამავლის“ მოვალეებს და თუ ნებით არ წარმოადგინეს, სასამართლოს მიჰმართოს.

*** საიმპერატორო საარქეოლოგიო კომისიამ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიხუროს მცხეთის საპატრიარქო ტაძარი, შემოუთვალა სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორას, რომ: მცხეთის ტაძარი ეკუთვნის ძველ საქართველოს ყველაზედ უფრო თვალ-საჩინო და ტიპიურ ეკკლესიათა რიცხვს და ამიტომ ყოვლად შეუძლებელია ქვის მაგივრად ლითონით იქმნას დახურულიო. ამასთან ხსენებულმა კომისიამ შეატყობინა კომიტეტს პროფესორების ი. ს. კიტნერისა და გ. დ. გრიგის აზრი, რომლის მიხედვით მცხეთის ტაძრის ქვის სახურავი წარმოადგენს ერთ-ერთ განსაკუთრებულ თვისებას ძველ ქართულ ხუროთ-მოძღვრებისას და ამის გამო არამც და არამც ტაძარი ლითონით არ უნდა იქმნას დახურული; მართალია, ქვის სახურავი შედარებით ლითონის სახურავთან ძვირად დაჯდება, მაგრამ თუ ძველი თლილი ქვები გულ-მოდგინედ გასწორდება და თავისს ადგილზედ დაიდება, მაშინ განსხვავება დიდი აღარ იქმნებაო.

*** ტფილისში ჩამოვიდა მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საადგილ-მამულო დაწესებულებათა განყოფილების მმართველი გენ.-ლეიტ. ი. ი. ჟილინსკი. მის ჩამოსვლას კავშირი აქვს კავკასიის ზოგიერთ ადგილების მორწყვის საქმესთან.

*** გადამდებ სენთა გაძლიერების გამო ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, დაუყოვნებლივ შეუდექით დროებითის საავადმყოფოს გამართვასაო.

*** ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს ზედამხედველობა დააწესოს ტფილისში სოფლის ნაწარმოებთა მყიდველ ჩარჩებზედ.

*** სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველმა ა. გ. ჯაბადარმა შემდეგი საჩივარი მისცა ქალაქის გამგეობას: ტვირთის მზიდველ მუშებზედ ზედამხედველობის დასაწესებლად წიგნებ-ნომრები შემოიღეთ და შეადგინეთ იმათ დასანუსხავად სიები, რომლებშიაც აღნიშნული უნდა იქმნას მათი ვინაობა და საცხოვრებელი ადგილიო.

*** ფინანსთა სამინისტრომ წინადადება მისცა სხვა და სხვა უწყებას, განკარგულება მოახდინეთ, რომ სახაზინო დაწესებულებათა მოიჯარადრეებთან ანგარიშის გასწორება და სათანადო ზარათების გაცემა თავისს დროზედ და დაუგვიანებლად მოხდეს ხოლმეო.

*** მთავარ-მართებლის კანცელარიამ, ამას წინად, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, სთხოვა საგუბერნიო მთავრობას, ცნობები მოაწოდეთ 120 მოიჯარადრის იმ თხოვნის გამო, რომ მათ ნაძალადევში საკუთრებად დაეთმოთ მათ-მიერ დაჭერილი ადგილებიო. 19 ნოემბერს გუბერნატორმა შეატყობინა მთავარ-მართებლის კანცელარიას, რომ კანონით ქალაქის უძრავ ქონებათა გაცემა დამოკიდებულია ქალაქის თვით მმართველობისაგან და რომ ქალაქის მოურავმა ამის შესახებ გამომიცხადა: ეს საგანი რამდენჯერმე წარედგინა განსახილველად საბჭოს და ამ უკანასკნელმა არც ერთხელ არ შეიწყნარა მოიჯარადრეთა შუამდგომლობა, იმ მოსაზრებით, რომ ტფილისს ცოტა ადგილი აქვს სახმარად გამოსადეგიო და, ამას გარდა, ქალაქის ადგილების გაყიდვის შემწეობით მათ რამდენიმე შეძლებული კაცი დაეპატრონება და არა ეხლანდელი მოიჯარადრენიო.

*** დეპეშების გზავნა ტფილისიდგან ბათუმისა და ქუთაისისაკენ შესწყდა ქარ-ბუქისაგან ტელეგრაფის ბოძების წაქცევის გამო.

*** 20 ნოემბრისათვის ძეგვის რკინის გზის ხიდი მთლად გასწმინდეს დამტვრეულ მატარებლის ნამტვრევებისაგან და მატარებლები დადის.

*** შავი ქვის (მარგანეცის) მუშაობა წლეულს, როგორც მოხსენებული გვქონდა „ივერიაში“, აქამდის გაცხარებული იყო. ამ ჟამად თოვლისა და წვიმების გამო მუშაობა ცოტა შეჩერდა. საკუთრად ქვის გამოღება მადნებში ისევე არის მციროდენის ნაკლებობით. მხოლოდ გადმოტანა მადნებიდამ ჭიათურაში გაძნელდა გზების წახდენის გამო. მარგანეცის მწარმოებელთა კრების ხარჯით ზოგიერთ მადნების გზა მართალია გააკეთეს შარშანვე, მაგრამ ისე ცუდათ გაუკეთებიათ, რომ ხელახლად უნდება შეკეთება. ამ გზის უვარგისობის მიზეზით ჩარვადრები და მეურმეები ვერ მუშაობენ. მაინც და მაინც ჭიათურის საწყობებზე ამ ჟამად ჩვიდმეტ-თვრამეტი მილიონი ფუთი შავი ქვაა. ხმა გავარდა ჭიათურაში, რომ სამერმისოდ ორმოცი მილიონი ფუთის მოთხოვნილება იქმნებაო.

*** ტყიბულის ქვანახშირის მოთხოვნილება აქამდის, როგორც ყველამ იცის, ნაკლები იყო. ახლა, ვგონებთ, მოთხოვნილება ამასაც უჩნდება. ამ ჟამად რუსეთის ქვა-ნახშირს ფასი მოემატა და სიძვირის გამო სამხრეთ რუსეთში დიდი ნაკლებობაა. ოდესაში მეტად გაჭირებულია ხალხი, რომელიც შეშის მაგიერად ქვა-ნახშირს ხმარობს. ამას გარდა გემებსა, ქარხნებს და სახელოსნოებს ეძვირებათ რუსეთის ქვა-ნახშირის ყიდვა და ნაკლებათაც იშოვება ბაზრებში. ამის გამო ოდესელ ვაჭრებს ჩვენებური ქვა-ნახშირი მოჰგონებიათ. ამ ახლო ხანში ერთ ოდესელ ვაჭარს ნახშირა-ტყიბულის საზოგადოებასთან პირობა შეუკრავს ხუთი-ექვსი მილიონის ფუთის ყიდვაზედ. ეს სასიამოვნო ამბავია, რომ გასავალი მიეცემა ტყიბულის ქვა-ნახშირს. ახლავე შესდგომიან ბათუმში გადატანას, სადაც რამდენიმე გემს მოელიან. ვაგონების ნაკლებობის გამო განკარგულება მოსვლია რკინის გზას, რომ ვაგონები მოუმატონ.

*** გაზ. „ფიგაროს“-ს სიტყვით, მ. ვ. ფილკევიჩს, რომელიც ამ ჟამად პარიჟში იმყოფება, დიდად თურმე გაუძნელდა საქართველოს სამხედრო გზაზედ რკინისგზის გაყვანის პროექტი შეეწყნარებინებინა მთავრობისათვის. როგორც, ვიცით, ამ გზამ ამიერ კავკასია რუსეთს უნდა შეუერთოს. „ფიგაროს“ აზრით, ეს გზა აუცილებლად საჭიროა არა მარტო რუსეთისა, არამედ ყველა ქვეყნის ვაჭრობა აღებ-მიცემისათვის და განსაკუთრებით სასარგებლოა კავკასიის მრეწველობის განვითარებისა და რუსეთ-სპარსეთის ვაჭრობა აღებ-მიცემობისათვის, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდება. ფილკევიჩს იმედი ჰქონია, რომ დასძლევს ყოველგვარ სიძნელეს და ამ პროექტს განახორციელებს.

*** ქ. ქუთაისი. 18 ნოემბერს აქაურს თეატრში წარმოადგინეს ბ ნ კ. ყიფიანის საბენეფისოდ „კარდინალი რიშელიე“. კარდინალის როლს, თვით მობენეფისე ასრულებდა და კარგადაც ჩაატარა, მაგრამ დანარჩენი მსახიობნი, ორიოდეს გარდა, ყველანი ხელს უშლიდნენ.

ქალები-კი, განსაკუთრებით ქ. ჩხეიძისა (იულია დე-მორპრა) და ქ. გვეტაძე (ფრანსუა) კარგად თამაშობდნენ.

სამწუხაროდ, თეატრის დარბაზი ცარიელი იყო (მთელს პარტერსა და ლოჟებში 67 მაყურებელი იყო). ამის უმთავრესი მიზეზი, ჩვენის ფიქრით, ის იყო, რომ მეტად ცუდი ამინდი დაუდგა წარმოდგენას; თოვლ-ჭყაპის გამო ადამიანი ქუჩის მეორე ნაპირზედ ვერ გადავიდოდა.

*** ტფილისის პოლიციის მე-9 ნაწილის ბოქაულად დანიშნულ იქმნა პლოცკის პოლიცმეისტერი ივანოვი.

*** დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან მათისავე თხოვნის თანახმად, ახალქალაქის მაზრის უფროსის თანაშემწე ინდუაშვილი და ტფილისის პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაული თავ. თუმანიშვილი, რომელიც ჩაირიცხა საგუბერნიო გამგეობაში.

*** 23 ნოემბრიდგან დაწესებულ იქმნა ახალი ნიხრი ძროხის ხორცისა $7^1/_2$ კაპ., ცხვრისა—8 კაპ., კამბეჩისა—5 კაპ., ღორისა—5—9 კაპ. გირვანქა.

## ქართული სცენა ქუთაისში.

ჩვენის უკანასკნელის წერილის (17 ოქტ.) შემდეგ, 7 ნოემბერს ეს მეხუთე წარმოდგენა გაიმართა ქუთაისში. „ლეკის ქალი გულჯავარ“ ძლიერ მოეწონა საზოგადოებას, განსაკუთრებით ვ. მესხიშვილის მეტად ხელოვნურის თამაშისა გამო. პიესამ „ცხოვრების მეჯლიშ“-ზედ საზოგადოება მიიზიდა, რადგან ვ. აბაშიძე იღებდა მონაწილეობას. პიესა ვერაფერი შვილი გამოდგა. ცოლი გაშორდება მოსიყვარულე, პატიოსანს და კეთილშობილს ქმარს, მერე შეიგნებს, რომ ცუდად მოვიქეციო, მაგრამ გვიანღაა; ქმარი ვერ აიტანს საყვარელის ცოლის განშორებას, ავადმყოფდება და ბოლოს ჰკუითგან შეიშლება და როდესაც ცოლი ეუბნება, მიყვარხარ, მაგრამ ვერ წამოგყვებიო, რევოლვერს ესვრის და მოჰკლავს. აზრი არ არის ახალი და გამორკვევითაც ვერ არის პიესაში განმარტებული; ხასიათებიც მკრთალადაა დახატული. გვიკვირს, რა ნახა ამ პიესაში ისეთი გადმომკეთებელმა, ან ნუ თუ გადმოკეთება ჰგონია, რუსული გვარები ქართულად შესცვალოს და სომეხი ვაჭარი ჩაურთოს შიგ (ეს აუცილებელი მომქმედი ბევრის ჩვენის პიესისა)?

შემდეგ წარმოდგენილ იქმნა „გაკოტრებული აზნაური“. პიესის სი-

---

ლი“ № 12), „უაზრო“ წერილებს სჯღაბნიან, (იხ. „კვალი“ № 33—„კვალის“ ფოსტა), რიგიან პასუხის გაცემაც არ იციან, სულ „აბნეულ, დაულაგებელს“ რასმეს გეტყვიან და ეს იმისთვის, რომ თავიანთვის ანგარიში ვერ მიუციათ „არ იციან რას შვრებიან, ან რა უნდა ქმნან“...

სწორედ სირცხვილია, რომ ისეთი ორგანო, რომლის ფურცლებში ასეთი გინება-ძაგების თვალ მარგალიტია გაბნეული, სხვას ჰკიცხავდეს, სხვასა ჰგმობდეს! სასაცილოა, მეტიც რომ არ იყოს, ის მწერალ პუბლიცისტი, რომელიც თითონ წარამარად იგინება, ილანძღება, სხვასკი უკიჟინებს: „რას ილანძღები, ეს ხომ სამარცხვინოა! მატყუარაა ის, რომელიც სხვისგან საბუთებს, დაწვრილებით გარჩევას და სერიოზულ აწონ-დაწონვას თხოულობს,—თითონ-კი ამას გაურბის და სადღაც წერილების ქვედა სართულში, შენიშვნასა და გაზეთის „ფოჩტებში“ მალულად იგინება!

ტრაბახაა ის, რომელიც ერის წლში გამმართველად ახალის ცხოვრების დამამყარებლად, საქმის სიტყვაზედ წინ დამყენებლად, თანამედროვე რეალურ მამულიშვილად სთვლის თავისს თავს და თითონ კი შურსა და შუღლს სთესს, პაპლონურ-წერილებს სჯღაბნის და ერთი რამ რამე „რეალური“ არ უქავნია და არ გაუკეთებია: მხოლოდ რეალურად, „დაურიდებლად“ იგინება! საზიზღარი არის ის, რომელიც ყველა ჩვენს მწერლებს, პუბლიცისტებს, საზოგადო მოღვაწეებს ჰკიცხავს, მთლად ქართველობას სწამებს „სულიერ ბატონყმობას“, „გონებრივ დავარდნას, ზნეობრივ გათახსირებას“, „დედაბრულ ცრუმორწმუნოებას“, ერთის სიტყვით, „არარაობას“ და თითონ კი მიაჩნია თავი „დაუღლელ“ (?) მოღვაწედ, „რეალურ მამული-შვილად“, „სიტყვის საქმით გადამქცევად, სამშობლოს ზურგში გამმართველად“ და ეს იმ დროს, როდესაც თითონ ტრაბახობა-ყოყოჩობა-რიხიანობის მეტი არა გააჩნია რა; როდესაც თითონ ერთი რამ შესამჩნევი საქმე არ გაუკეთებია, გარდა „კვალში“ დაწერილ პაპლონურ წერილებისა; როდესაც თითონ სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენს გრძნობა-გონების მონობისასა და მარქს-კაუცკის ყმობა „საამდროვო თვისებათ გამოაქვს“!

ფლიდია ის, რომელიც თავისს თავსა სთვლის უცოდველად, წმიდად, მიუდგომელად, პირად სიმპატია-ანტიპატიის უარ-მყოფელად, საქმის სერიოზულად გამრჩევად იმ დროს, როდესაც თავისს მოქმედებას ამყარებს პირადს გრძნობაზედ, სიმპატია-ანტიპატიაზედ (ყიფიან-გელეიშვილ ფიდავას საქმე. იხ. „იმედგაცრუებულის“ წერილი „ივერია“-ში.) და სამართლის სასწორს იქით ჰხრის საითკენაც თავისს მიმდევარ-მომხრეებს დაინახავს!..

ერთის სიტყვით, ის იგავ-არაკში გამოყვანილი მაიმუნია, რომელმაც თავის-თავი სარკეში დაინახა და, რომ არ მოეწონა, მიაძახა: „ფუ, რა საზიზღარი რამ არის ეს ჩემი თანამოძმე; ამისთანა მახინჯი რომ ვიყო, თავს მოვიკლავდიო“! აბა დააკვირდით, მკითხველო, ნ. ჟორდანიას წერილებს: არის ვინმე ჩვენში პუბლიცისტთაგანი, მოღვაწეთაგანი, რომელიც მეტს რიხს აცხადებდეს, მეტს ახალმოდის ფრაზ-ტერმინებს ჰხმარობდეს, პიონერ-ევროპიულად განათლებულ მწერლად სთვლიდეს თავს, ვიდრე ის (ჟორდანია)? „კარგ მწერლად“ იმისთვის არა სთვლიან მისი მომხრე-მოტრფიალენი, რომ ის „ბევრს ლაპარაკობს და არაფერს არ იტყვის“?

სინიდის ქვეშ სთქვით: გამოიჩინა თუ არა ბ-ნმა ჟორდანიამ სადმე საქმის „ძირიანად გასინჯვა, კითხვების გამორკვევა; მიუდგომელი მსჯავრის დადება“ ისე, როგორც თითონ ჩემულობს?.

აქვს თუ არა ბ-ნ ჟორდანიას ზნეობრივი უფლება, სხვას მის მოწინააღმდეგეს, მოსთხოვოს მისის წერილების „სერიოზული განრჩევა“, დაწვრილებით დაფასება იმ დროს, როდესაც თითონ პასუხის გაცემას, თავისს დაცვას, სიმართლის აღდგენას არა ჰკადრულობს და, როგორც ზემოდ ვთქვით, წერილების ქვედა სართულში, გაზეთის „ფოსტებში“ ისე აგდებით ილანძღება? მაგრამ შეიძლება არა ჰკადრულობდეს თავისს მოწინააღმდეგებთან გამოლაპარაკებას; შეიძლება ეს მას, როგორც ევროპიულად განათლებულსა და რეალურ მამულიშვილს, არ შეშვენოდეს, არ ეკადრებოდეს?

მაშ თუ ეს ასეა: კუნჭულში, ქვედა სართულში, „ფოსტებში“ ბრძოლა რა საკადრისია? შეიძლება ბ-ნმა პუბლიცისტმა ზიზღით გვითხრას: „თქვენისთანა წვრილ-ვეხობისთვის სადა მცალიან, რაც გალირსეთ, ისიც გეყოფათო“.

მაგრამ ამასთან ნუ დაავიწყდება ბ-ნს პუბლიცისტ-მოღვაწეს შემდეგი სიტყვები რუსის ერთ ახალგაზდა კრიტიკოსისა: „презирать, обращаться въ бѣгство, пренебрегать весьма часто—значитъ свидѣтельствовать о безсилiи или неумѣнiи бороться“ (იხ. „Мiръ Божiй“ 1899. თებერვალი).

და აკი სწორედ ამ რიგად დაამტკიცა „კვალმა“ და მისმა პუბლიცისტმა თვისი უძლურება და ბრძოლის უცოდინარობა, როდესაც ბ-ნ ფეხს გაექცა და ბრძოლის ველი დასტოვა. აქ, ამ პოლემიკაში, ბ-ნო ჟორდანიავ, ხომ პრინციპიალური ბრძოლა იყო, რომელიც ყოველთვის ენაზე გაკერიათ და რომელსაც ხშირად თხოულობთ, მაშ რად გაექეცით პირველი ამ ბრძოლას, ყური რად მოიყრუეთ? აი, ბურთი და მოედანი! გამოგვიჩინეთ თქვენი ევროპიულად მომზადება, საქმის ცოდნა, მიუდგომელი მსჯელობა.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტივე, შიგ ჩაქსოვილი კეთილი დედა-აზრი, ინტრიგები, პიესის კარგად დადგმა, ყველა მსახიობის მწყობრი თამაში, ვ. ბალანჩივაძის და განსაკუთრებით ვ. აბაშიძის კომიზმი, ყველა ამით მეტად ნასიამოვნები დარჩა საზოგადოება.

3 ნოემბერს ითამაშეს „ქართველი დედა“.

რაც შეეხება 7 ნოემბერს გამართულ წარმოდგენას—„ბედს ვერ წაუხვალ“, ეს სწორეთ შესანიშნავი საღამო იყო, რომლისთანას ძვირად ჰნახავს საზოგადოება ქუთაისში. ვარდანაშვილი (ვ. მესხიშვილი) მოკლავს თავის ცოლის ნატალიას (ქ. ივანიძე) ერთს საყვარელთაგანს, იმ ცოლისას, რომელიც მას გაგიჟებით უყვარდა, მაგრამ რომელმაც გასცვალა ის ახალგაზდა ყმაწვილებზედ და მას დაცინვაც-კი დაუწყო. ვარდანაშვილი კატორგაში გაჰგზავნეს. ცოლს ეს არაფრად ჩაუგდია. ის ისევ ქეიფსა და ლხინში ატარებდა დროს. ვარდანაშვილისაგან ერთი ქალი დარჩა, რომელიც პატარაობიდგანვე უყურადღებოთ მიაგდო, არას ჰზრუნავდა მისთვის, არას დაეძებდა; ბავშვი თავის თავად გაიზარდა, ისწავლა და ცოლად გაჰყვა მოსიყვარულე, პატიოსანს დუმბაძეს. ნატალია მოხუცდა, მოიქანცა, სინიდისიც გაეღვიძა. პიესა იწყება იმით, რომ ნატალია მიდის ქალიშვილთან (ქ. ჩხეიძე), რომელიც რამდენისამე ხნის წინად დაქვრივდა, და სთხოვს შერიგებას. ქალიშვილი—დუმბაძისა უარს ეუბნება. მეორე მოქმედებაში ქველმოქმედ ხმალაძის (ვ. ბალანჩივაძის) სანახავად დუმბაძის ქვრივისას შემოდის მოხუცებული ვარდანაშვილი, 15 წლის ნაკატორგალი. რასაკვირველია, იმას ვერავინ იცნობს და ვერც ისა სცნობს სხვებს. იგი საშინლად დასუსტებულია, ძლივს-ღა დადის და ჰლაპარაკობს, ხმა უკანკალებს, თვალებ ჩავარდნილი, გაყვითლებული, ცოტა მოხრილიც, ძალა უნებურად იწვევს ხმალაძისა და განსაკუთრებით დუმბაძის ქვრივის თანაგრძნობას. ის შემწეობას სთხოვს ხმალაძეს, ვიდრე რამე ადგილს იშოვიდეს, და გამოლაპარაკების დროს თავისს თავ-გადასავალს მოუყვება (რასაკვირველია თავისს გვარს არ ამხელს). ხმალაძე დაეხმარება; მოხუცებული მიდის და კარებში გასვლისას—(ისე, რომ ვერავინ ვერ ამჩნევს) თვალს მოჰკრავს თავისს სურათს, რომელიც კამოდზედ უდევს იმისს ქალს; საშინლად გაოცდება, გაჰკვირდება, აღელვდება,—ამ სურათს აქ რა უნდაო; ვერა გაუგია-რა, უნდა ხმა ამოიღოს, იკითხოს, თითქოს რაღაცა იგრძნოო, მაგრამ მერე მწარედ გაიქნევს ხელს და ცრემლებით თვალ ავსებული გარეთ გადის გული არ უთმენს, ცოტა ხანს შემდეგ ისევ შემობრუნდება. ოთახში მარტო მისი ქალი დახვდება. აღელვებულის ხმით ეკითხება,—ამ სურათს აქ რა უნდაო, რისთვის გაქვსთ ეგ თქვენაო?—„როგორ თუ რისთვის, ეს მამაჩემი არისო“. მოხუცებული ჯერ ვერას ამბობს, მერმე,—როგორც არის, ამოიღებს ხმას: „შვილო!... მაშ შენ ჩემი შვილი ხარო!..“ ფეხი მოეკეცება და ხელებს გაუშვერს ქალიშვილს, რომელიც ატირებული მოეხვევა კისერზედ.

ძნელად ასაწერია ის სიხარული და მწუხარება, რომელიც აღნიშნა აქ არტისტმა. მამამ იპოვა თავისი უცნობი, საყვარელი შვილი, მის სიხარულს საზღვარი არ აქვს, მაგრამ ეგ სიხარული ცოცხალმკვდარ სხეულში, 15 წლის ტანჯულ, საზოგადოებისაგან განდევნილ, სახელ გატეხილ ადამიანში, მეტად მწუხარეა. იპოვა ქალი, ქალს პატარა შვილი—საშაც ჰყოლია; ღმერთო, ღმერთო! რა ნეტარებაა მისთვის პატარა შვილიშვილის ნახვა, გადაკოცნა, მიალერსება, პაპას დაუძახებენ!. აწმყომ და მომავალმა დაავიწყებინა წარსული ტანჯვა... მაგრამ ნუ თუ ის, სახელ გატეხილი ნაკატორგალი თავისის სახელით ჩირქს მოსცხებს თავისს ქალს, თავისს პატარა შვილიშვილს? არა, ის უნდა განშორდეს იმათ, წავიდეს, დაიკარგოს საუკუნოდ. ვერც ქალის ტირილი და ვედრება, ვერც შვილი-შვილის მოგონება ვერ დაიმაგრებს და მიდის.

მესამე მოქმედება: საღამოა. ნატალია მოსულა ქალიშვილის ბაღში და მოსამსახურე მართას ეხვეწება, შვილიშვილი მაჩვენე. ერთხელ ვნახავ და მერე სამუდამოდ წავალ აქედგანაო. მოსამსახურეს მიჰყავს ის თავისს ოთახში. შემოდის დუმბაძის ქვრივი, მერე ხმალაძე, რომელიც ეუბნება დუმბაძისას,—შენმა პატიოსნებამ და მხნეობამ შენი თავი შემაყვარაო, და ცოლობას სთხოვს. ქალი თითქოს თანხმდება, მაგრამ მოაგონდება თავისი ტანჯული მამა; არა, რა უფლება მაქვს მე ბედნიერი ვიყო და მამა-კი ისე იტანჯებოდესო, და უარს ეუბნება... ღამდება. ბაღში შემოიპარება ვარდანაშვილი; ვერ გაუძლია, რომ არა ნახოს ქალი და შვილიშვილი; იქნება სადმე შევხვდე და ვნახოვო. საშას სათამაშოს დაინახავს, ცრემლები მოსდის სიხარულისაგან. მაგრამ მის სიხარულს მწუხარება თან დასდევს: რატომ არ შეიძლება შვილების ნახვით დასტკბეს, განა არა კმარა, რაც იტანჯა?.. ფანჯარაში სანთელია, ისინი იქ არიან, ღმერთო! ერთი ალერსი, ერთი კოცნა, ერთი სიტყვა... ღამეში ვილაცას ხმა მოესმის და სახლის დერეფანში შედის დასამალავათ. შემოდიან ბიჭები, რომელთაც ვარდანაშვილი ქურდი ჰგონიათ. დუმბაძისა, რომელმაც არ იცის, თუ ვინ არის დერეფანში, ყვირილს ასტეხს—სახლში ქურდი არისო. ვარდანაშვილი გაქცევას აპირებს, უნდა სირცხვილისაგან იხსნას თავისი ძვირფასი არსებანი, მაგრამ ამაოდ. მიჰყავთ პოლიციაში. დუმბაძისა შეჰხედავს მამას, იცნობს, მიხვდება მისს მოსვლის მიზეზს, რის საშინლად დაიკივლებს „მამაო“, და გულ-წასული დაეცემა.

უკანასკნელი მოქმედება გამომძიებელთან (თუთბერიძე) არის. ვარდანაშვილს აბრალებენ,—სახლის გაქურდვა გინდოდაო; მას კიდეც უპოვეს ჯიბეში ძვირფასი მედალიონი (რომელიც ნატალიას დაუვარდა ბაღში და ვარდანაშვილმა ნახა და ქალიშვილისათვის უნდოდა გადაეცა), მოხუცებულს ცხადად წარმოუდგება თვალ წინ 15 წელის კატორგაში გატარებული დრო, საპყრობილე, დატუსაღება. ოჰ, ღმერთო, კიდევ ოთხ კედელ შუა მარტოდ-მარტო უნდა ვიყოო! წინ და წინავე იტანჯება, მაგრამ ქალისა და შვილის შვილის სიყვარული უფრო ძლიერი აქვს; ის არ ამხელს ნამდვილ მიზეზს, რომ სახელი არ შეუბღალოს თავისს ქალიშვილს, მას სტანჯავს იმის წარმოდგენაც კი, რომ მას და მის შვილს ვინმემ ნაკატორგალის შვილები უწოდოს.—„დიაღ, ალბად საქურდლათ ვიქნებოდი იმ ბაღში, მაშ რა მენდომებოდაო. ეუბნება გამომძიებელს; მეტს მე არაფერს გეტყვით და გთხოვთ მალე გაათავეთ საქმეო“.... შემოდის მისი ქალი და ამბობს, ეს მამაჩემია, ის ჩემისა და ჩემის შვილის სანახავად მოვიდა იმ ღამესო. ვარდანაშვილი ძალდატანებით მწარედ იცინის: არა ვარ მაგის მამა, ეგ ვიღაცაა, ჭკუა ნაკლები უნდა იყოსო... ქალიშვილი ტირილით მოეხვევა მამას, ევედრება—შენ მამა ხარ ჩემი, საყვარელი მამა, სთქვი მართალი, წავიდეთ აქედგან, ტკბილად ვიცხოვროთ... მოიგონე შენი შვილი-შვილი საშა, მე თუ დამტოვებ, იმას მაინც ნუ დასტოვებო... მოხუცი უზომოდ იტანჯება, გული უსკდება, სული ამოსდის, ვერ უძლებს შვილის ალერსს და ცრემლებს და შვილი-შვილის მოგონებას. მაგრამ ძალას ატანს თავისს თავს და კვლავ უარზეა. ბოლოს მაინც სძლევს მას შვილის ვედრება, აცხადებს, რომ მე სწორედ მამა ვარ ამ ქალისა და რაც სთქვა, მართალიაო, და დაღლილი დაეცემა სკამზედ. შემოდის ნატალია... ახსნის, რომ მედალიონი მე დავკარგე ბაღში და ყველაფრის მიზეზი მე ვარო. გამომძიებელი მიდის ბრალმდებელთან, რომ საქმე მოსპოს... ნატალია ევედრება ქმარს და შვილს პატიებას, ეგ შეუძლებელიაო, ეუბნება ქმარი. „ვხედავ, ამბობს ცოლი—ჩემთან თქვენი ბედნიერება მოუხერხებელია, წასვლა და სიკვდილი სჯობია ჩემთვისაო და მიდის... ბევრი სულიერი ტანჯვა და აღელვება გადაიტანა ბოლოს დროს ვარდანაშვილმა, მისი დასუსტებული გული ვერ გაუძლებს ამას, ის ჰკვდება და ცოლის პატიებაა მისი უკანასკნელი (უფრო სახის გამომეტყველებით და მოძრაობით, ვიდრე სიტყვით) სურვილი. ადამიანმა თითონ უნდა ნახოს ვ. მესხიშვილი ამ როლში, რომ იგრძნოს ყველაფერი.

პიესა თავის და თავად ისეთი არა არის რა. ის მდიდარია შინაარსით და მთლად დამოკიდებულია არტისტის თამაშობისაგან. ვ. მესხიშვილი კი შეუდარებელი იყო. ჩვენ წინ მესხიშვილი კი არ იდგა, არამედ მრავალტანჯული ადამიანი, რომელმაც მთლად დაიმონა და ატირა მაყურებლები 2 ნახევარ საათის განმავლობაში. სწორედ ბედნიერი უნდა იყოს არტისტი, რომელსაც ასე სავსებით შეუძლიან ჩაახედოს მაყურებლები ადამიანის ტანჯულ სულში. ვ. მესხიშვილის თამაში ხელოვნების დღესასწაული იყო, ხელოვნების უაღრესობა, ადამიანის ასვლა იმ უმაღლესს ღვთაებრივ წერტილამდე, სადამდისაც მხოლოდ დიდ ბუნებოვანი ნიჭი ამაღლება და ისიც ხან-და-ხან.

პიესის გადმომკეთებელის შესახებ უნდა ვსთქვათ ის, რაც ვსთქვით მისივე პიესის შესახებ—„ცხოვრების მეჯლიშზე“. მისი შინაარსი არ შეეფერება ჩვენს ცხოვრებას; მეტად ანტიესტეტიურად იმოქმედა მესამე მოქმედებაში იმერელ ბიჭის გამოხტომამ სცენაზედ; გვიკვირდა, აქ რა უნდა იმერელ ბიჭსაო“.

S—son.

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ორანჟის რესპუბლიკის წარმომადგენელს პარიჟში, ბ-ნს მონზენტალს, ერთს ჟურნალისტთან საუბარი ჰქონდა ბურების სამხედრო გეგმის შესახებ. მონზენტალს უსამართლოდ მიაჩნია გენერალ ჟუბერისადმი საყვედური იმის შესახებ, რომ აქამდე მან ვერ მოახერხა დამორჩილება ლედი-სმიტისა, ესტ-კორტისა, მეფეკინგისა და კიმბერლეისა. ყველასათვის, ვინც დაახლოებით იცნობს ჟუბერსა და შიდს, ცხადი უნდა იყოსო,—სთქვა მან,—რომ იმათ ზედმიწევნით აქვთ შეთვისებული მოლტკეს სამხედრო ტაქტიკა, რომელსაც ეს უკანასკნელი ადგა 1870 წელში. ბურები ერიდებიან ბევრის კაცის დაღუპვას და ამით ახსნება, რომ ჟუბერი არ არის მოწადინებული იერიშის მიტანით დაიმორჩილოს ხსენებული ქალაქები და ამით ასახელოს თავი, არამედ მუდამ საუკეთესო შემთხვევას უცდის მტრის დასამარცხებლადაო. ბურების მთავარსარდალს, მონზენტალის სიტყვით, ისიც ხელს უწყობს ამ შემთხვევაში, რომ ინგლისელების ჯარები აგვიანებენ ბრძოლის ველზედ მისვლას.

— გაზეთი „New York Herald“-ი ერთმანეთს ადარებს ინგლისისა და ბურების სამხედრო მალ-ღონეს და ამბობს, რომ, მას შემდეგ, რაც ომი ასტუდა, გამოირკვა, რომ ბურებს იმაზედ გაცილებით მეტი ჯარი ჰყოლიათ, ვიდრე ბევრს ეგონა ომის დაწყებამდისო. გაზეთის სიტყვით, როგორც ჰფიქრობენ, ამ ჟამად იმათი ჯარი შესდგება 60,000 კაცისაგან. გარდა ამისა, ისინი ზედმიწევნით იცნობენ იმ ადგილებს, რომელიც ბრძოლის ველად არის გადაქცეული, და ამ ადგილების თვისება იმათ სამხედრო წეს-რიგს დიდად ხელს უწყობს. ბურები მაინცა-და-მაინც არ ზრუნავენ თავიანთს ჯარს სურსათი მიაწოდონ, რადგან თითოეულს მათს მხედარს თან აქვს თავისი სურსათი; ჯარის დაბანაკებაც დიდს გასაჭირს არ შეადგენს მათთვის. ინგლისელები-კი ამ უპირატესობას მოკლებული არიან, რომელთათვისაც ბანაკად ყოფნა მინდორში და სურსათის მოპოვება უპირველეს საგანს შეადგენს, რადგან იმათი მოთხოვნილება სულ სხვაა. ბურები შეჩვეული არიან იქაურს ჰავას და მათზედ ის ცუდათ არ მოქმედობს. ინგლისელებს შეუძლიანთ იყოლიონ სამხრეთ აფრიკაში არა უმეტეს 75,000 კაცისა, მაგრამ იმათ რიცხვში არ იქმნება იმოდენა ცხენოსანი ჯარი და არტილერია, რამდენიც საჭიროა ბურებთან საბრძოლველად. ამ 75,000 კაციდგან არა მცირედი ნაწილი საჭირო იქმნება ქალაქებისა და გზების დასაცველად; ამას ისიც უნდა მიემატოს, რომ ბევრი დაიხოცება ომში, დაიჭრება, თუ ტყვედ იქმნება წაყვანილი, რომელთა რიცხვი დღევანდლამდის 2500 კაცზედ მეტს შეადგენს; რაც შეეხება აფრიკის აუტანელ ჰავისაგან დაავადმყოფებულთ, ეს კიდევ ზედ-მეტია. უკანასკნელად, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის შიში, რომელიც ინგლისელებს მუდამ ჟამს მოელით ადგილობრივ ხალხთა მხრივ. ყველა ამ ანგარიშიდგან გაზეთი იმ დასკვნამდის მიდის, რომ ინგლისელებს მტერთან საბრძოლველად 50,000 კაცზედ მეტის გაყვანა არ შეუძლიანთ, ხოლო უფრო მოსალოდნელი კი არის, რომ ამაზედ ნაკლები გაიყვანონ.

## სასამართლოს მატიანე

გაზეთის შემწეობით ცილის წამების საქმე.

20 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე გაზ. „ცნობის ფურცლისა“ და „კავკასის“ რედაქტორთა გ. დ. გუნიასი და გ. დ. ველიჩკოსი, რომელთაც გაზეთის შემწეობით ცილის-წამება ჰბრალდებოდათ. საქმის გარემოება შემდეგია: გაზ. „ცნ. ფ.“-ის 449 №-ში 1898 წ. 7 თებერვალს მოთავსებული იყო ანთილავასაგან ხელ-მოწერილი კორესპონდენცია სოჩიდგან, რომელშიაც ნათქვამი იყო: ამ დაბაში ყვავილი მოარულ სენად გარდაიქცა, თავ-შესაფარის უქონლობის გამო ავადმყოფნი ქუჩებში ჰყრიანო, მაგრამ არავინ ამას ყურადღებას არ აქცევს, რის გამოც 3 კაცი კიდეც გარდაიცვალაო; ადგილობრივი ოლქის მკურნალი თავს არ იწუხებს ამ საქმისათვის და მხოლოდ ადგილობრივ ვაჭართა ხარჯით დაქირავებულ იქმნა სახლი ღარიბ ავადმყოფთა თავ-შესაფარადაო. ასეთივე შენიშვნა დაიბეჭდა გაზ. „კავკასშიაც“ იმავე წლის 8 თებერვალს. აღნიშნულ კორესპონდენციების გამო სოჩის ოლქის უფროსმა შეატყობინა ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელს: სოჩში ყვავილი მოარულ სენად არ გარდაქცეულა, მხოლოდ 11 კაცი გახდა ავად ყვავილით, მათ შორის 6 მორჩა და მხოლოდ 3 გარდაიცვალაო, ყველა ავადმყოფებს სინჯავდა ოლქის მკურნალი, ხოლო მისის სხვაგან ყოფნის დროს-კი სოჩის ფერშალიო; ავადმყოფები თავ თავის სახლში იწვნენ; არავის ავადმყოფთათვის სახლი არ დაუქირავებია და მხოლოდ ვაჭარმა აიგაზოვმა თავისი ავად-გამხდარი მუშა, მისგან მოსარიდებლად, მოათავსა ცალკე დაქირავებულ ოთახშიო; არ ყოფილა აგრეთვე არც ერთი ისეთი შემთხვევა, რომ ავადმყოფი ქუჩაში გდებულიყო უპატრონოდაო. ამიტომ ოლქის უფროსი, სიცრუედ სცნობდა რა ხსენებულ შენიშვნებში აღნიშნულს ცნობებს, თხოულობდა „ცნ. ფ.“-ისა და „კავკ.“-ის რედაქტორთა დასჯას.

სასამართლოში სოჩის ოლქის უფროსი და ბრალდებულნი არ გამოცხადებულან; მაგრამ პალატამ მაინც განიხილა საქმე დამცველთა თხოვნით. ბრალდებულის გუნიას დამცველი ნაფ. ვექილი გვაზავა ამტკიცებდა, რომ შენიშვნაში არა ყოფილა ოლქის უფროსის შეურაცხმყოფელი ცნობები, ხოლო იმის აღნიშვნა, რომ ავადმყოფები უპატრონოდ იყვნენ დატოვებულნი, უფრო ოლქის მკურნალს შეეხება, ვიდრე ოლქის უფროსსაო.

სამოსამართლო პალატამ დაადგინა: გამართლებულ იქმნან „ცნ. ფ.“-ისა და „კავკ.“-ის რედაქტორები გ. დ. გუნია და გ. დ. ველიჩკო.

## დამკვირდი

დედაკაცი ბირჟაა: რაც უფრო მეტი საყვარელი ჰყავს, მით უფრო ბევრი თაყვანის-მცემელი უჩნდება.

Z.

* * *

პატიოსანი კაცი არასოდეს არ შეაგინებს სალოცავსა და გვარ-ტომობას და არასოდეს არ წაგართმევს ღვთი-

სა-მარ მონიჭებულს ენასა და თავისუფლებას.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

მანილიას გმირი, ამერიკელების გამოჩენილი ადმირალი დევეი მეომრის გარდა მცოდნე ბუნების-მეტყველიც ყოფილა თურმე. ამ ადმირალს პეპელების მშვენიერი კოლლექცია ჰქონია, რომელსაც, როგორც გაზეთები იუწყებიან, 15 ათას მანეთად აფასებენ. მოგზაურობის დროს დევეი გულმოდგინედ აქუჩებს თურმე სხვა-და-სხვა მწერებს და კოლლექციებს ამზადებს ხოლმე.

* * *

ამას წინად, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, ამერიკის შტატ მონტანში სენატორი კორტერი სამართალში მიუციათ. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამას წინად ვწერდით, რომ ამერიკის ზოგიერთ შტატში ახალი კანონი გამოსცეს, რომლის ძალითაც აღეკრძალა ყველას გაფურთხება ისეთ ადგილებში, სადაც ხალხი იკრიბება და, სხვათა შორის, ტროტუარებზედ. ზემოხსენებული სენატორი სამართალში იმისთვის მიუციათ, რომ სეირნობის დროს გაუფურთხებია ტროტუარზედ. როგორც ამბობენ, ამ სენატორზედ საჩივარი შეუტანია ერთს მოქალაქეს, რომელიც წინა დღეს ისეთისავე საქციელისთვის დასჯილ იქმნა. სასამართლოს სენატორისთვის 4 მანეთის ჯარიმის გადახდა მიუსაჯნია.

* * *

იტალიის ქალაქ ტურინში ამას წინად ძეგლი დაუდგეს ერთს გამოჩენილს ჟურნალისტს ექიმს ბოტტეროს. ბოტტერო კავურთან ერთად მოღვაწეობდა და თავისს გაზეთით და წერილებით დიდი სამსახური გაუწია იტალიას. ძეგლის კურთხევას დაესწრნენ წარმომადგენელნი მეფისა, მთავრობის და სხვა-და-სხვა დაწესებულებისა; დეპუტატები ქალაქებისა, სოფლისა და სხვათა.

* * *

ჟურნალი „Prometheus“ იუწყება, რომ ამას წინად ტენ-ონგ-ტაკონგში ერთგვარ თევზს ერთი მეთევზე მოუკლავს. ამ თევზს თავზედ მობმული ჰქონია მახვილის მაგგვარი რქა თუ მაგარი ხორცი, ამას გაზეთი არ იუწყება. თევზი წყლიდგან ამოვარდნილა და ნავში მჯდომ მეთევზესათვის თავისი მახვილი შიგ გულში ჩაუცია. ამხანაგს ნავი მაშინვე ნაპირისაკენ გამოუქანებია, მაგრამ მეთევზე მალე გარდაცვლილა. ამხანაგს კარგად დაუნახავს, უცნაურს თევზს როგორ ამოუძვრია მეთევზესათვის გულში ჩასობილი მჭვეტიანი მახვილი და შემდეგ თევზი როგორ გადამხტარა უკანვე წყალში. ასეთსავე თევზს 1881 წელს ერთის გემისათვის ისე მაგრა დაუკრავს მახვილი, რომ გემი გაუხვრეტნია და შიგ წყალი შესულა.

* * *

როგორც საფრანგეთის მთავრობის ოფიციალურ ჴსტატისტიკიდგანა სჩანს, 1898 წელს საფრანგეთიდგან 19,682,000 ბოთლი შამპანური ღვინო გაუტანიათ, სულ 91,327,552 ფრანკისა. ყველაზედ მეტი შამპანიური გაუტანიათ ინგლისში, სახელდობრ 10,559,300 ბოთლი, შემდეგ ბელგიაში—2,778,700 ბოთლი, გერმანიაში 1,859,200, შეერთებულ შტატებსა და კანადაში—1,419,000, რუსეთში—486,400 ბოთლი, ავსტრიაში—153,300, შვეიცარიაში—141,100, იტალიაში—129,700 და ავსტრალიაში—125,000 ბოთლი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ნოემბერი

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო.“ გაზეთ „Matin“-ს გაუგონია, რომ საფრანგეთს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს ოსმალეთთან ბეირუთ-დამსკის რკინის გზის გაგძელების შესახებ ეფრატამდე.

უმრავლესობა გაზეთებისა იმ აზრისაა, რომ საფრანგეთმა ყურადღება არ უნდა მიაქციოს ჩემბერლენის სიტყვებს სახელმწიფოთა ვითომდა ახალის კავშირის შესახებაო. „ახალი კავშირი,—სწერენ გაზეთები—ლანდია მხოლოდ და საქმის ვითარება ისევ ისეთია, როგორიც აქამდის იყოო“. ზოგი გაზეთი-კი ამბობს, რომ ჩემბერლენის სიტყვას საფრანგეთი სერიოზულად უნდა მოექცესო. „Matin“-ი ჰფიქრობს, სალიუსბირიც იტყვის რასმეს, რომ შეასწოროს ის, რაც ჩემბერლენს წამოსცდაო.

**ჰამბურგი.** ალტონის სამშვიდობო საზოგადოების ადგილობრივ წევრებს გუშინ კრება ჰქონდათ. დაესწრო სულ 500 კაცი. კრებამ გაჰკიცხა ინგლისის მიერ გამოწვეული ომი ტრანსვაალთან და თავისი თანაგრძნობა გამოუცხადა თავისუფლებისათვის მებრძოლ ბურებს. საზოგადოება თხოულობს, რომ ყოველგვარ საერთა-შორისო შეტაკება იარაღის და ომის ნაცვლად სამედიატორო სამართალით იქმნას გადაწყვეტილი. რადგანაც გააგის კონფერენციაზედ ყველა სახელმწიფოებმა იკისრეს ეცადნენ მშვიდობიანობის დაცვისათვის, საზოგადოებას იმედი აქვს, რომ საიმპერიო მთავრობა ეცდება ბოლო მოუღოს სისხლის ღვრას.

**მემელი.** „ვოლფის სააგენტო“. სამხრეთ მოლთან რიყეზედ შედგა გემი „ბრავო“. 10 კაცი, ამ გემის მოსამსახურე, უკვალოდ დაიკარგა. კაცები უთუოდ წყალში დაიხჩვნენ, გემი-კი სულ ერთიან დამსხვრეულია.

21 ნოემბერი

**პეტერბურგი.** მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობათ ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა იმპერატრიცამ ალექსანდრე თეოდორეს ასულმა, დიდმა მთავრინებმა ელისაბედ თეოდორეს ასულმა და ელისაბედ მავრიკის ასულმა, დიდმა მთავრებმა ანდრია ვლადიმერის ძემ, პავლე ალექსანდრეს ძემ და მიხეილ ნიკოლოზის ძემ დაათვალიერეს ავსტრო-უნრელთა გამოფენა.

„წითელის ჯვრის რუსეთის საზოგადოების“ მთავარმა სამმართველომ წინადადება მისცა სამხრეთ-აფრიკაში მეომარ მხარეებს სამკურნალო-სასანიტარო დახმარებას აღმოვიჩენთო. ინგლისის მთავრობამ მადლობა გამოუცხადა, მაგრამ ამასთან არ მიიღო ეს შემწეობა, რადგანაც თვით ჩვენივე სასანიტარო-სამკურნალო ორგანიზაციაც საკმაოაო. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებისაგან 7 ნოემბერს დეპეშა მოვიდა, რომელშიაც შემწეობის მიღების თანხმობას აცხადებენ. ამ ჟამად უკვე შემდგარია სანიტართა ერთი რაზმი, რომელშიაც ხუთი მკურნალია, ერთი მათგანი რაზმის უფროსი; ამას გარდა რაზმსა ჰყავს: ორი აგენტი, 8 და მოწყალებისა, 4 ფელშერი და 12 სანიტარი. თან ექმნებათ სამგზავრო ლაზარეთი საცვლებით, წამლებით, სამკურნალო იარაღით. ლაზარეთში 25 კაცის დაწვენა შეიძლება, ხოლო თუ საჭირო იქმნება 50 საც. ხარჯისთვის მთავარმა სამმართველომ 100,000 მანეთი გადასდო. რაზმი პეტერბურგიდგან 28 ნოემბერს ოდესსაში წავა, იქიდგან პორტ საიცზედ ლორენცო-მარკეზში, ხოლო ამ უკანასკნელიდგან რკინის გზით პრეტორიაში.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო“. უმაღლესი სასამართლო. გერენი თხოულობს საქმის განხილვა გადადებულ იქმნას, ვიდრე ახალ ვექილს ავირჩევდეო. ბრალდებულნი, განსაკუთრებით ბიუფფე, საშინლად ყვირიან და უწესოებას ახდენენ. სასამართლომ დაადგინა ბიუფფე რვა დღით გამორიცხოს.

**ვაშინგტონი.** მთავრობამ პრეტორიაში მყოფი ელჩი მაკრუმი თავისისავე თხოვნით თანამდებობიდგან დაითხოვა. მაკ-კინლეიმ ამ ადგილზედ დანიშნა ალბერტ გეი, სტატს-სეკრეტრის შვილი. ახალი ელჩი ამ დღეებში წავა ტრანსვაალს.

**კოპენჰაგენი.** მეფე ქრისტიანე, იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული 20 ნოემბერს წაბრძანდნენ გეინტოფტიდგან ნეიმიუნსტერში, საიდგანაც მეფე ჰამბურგში წავა, ხოლო იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებითურთ რუსეთში.

22 ნოემბერი

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა კაპშტადტიდგან მიღებული შემდეგი დეპეშა: „პოლკოვნიკი კეკევიჩი დეპეშით იუწყება კიმბერლეიდგან, რომ ბეჩუალანდის პოლიციამ 16 ნოემბერს ქალაქის სამხრეთით ბურების ბანაკი აიღოო“.

შემდეგ სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ სატრანსპორტო გემი „Ismore“ ბატარეითა და გუსართა რაზმის ნაწილით ... წმ. ელენეს კლდესთან გაპრიყაო. ჯარი ნაპირზედ გადასხეს, ცხენები-კი ჯერ ისევ გემშია.

**მოსკოვი.** მოსკოვის უნივერსიტეტიდგან უნდა დათხოვნილ იქმნას 486 სტუდენტი სწავლის გადასახადის შეუტანლობის გამო. სტუდენტების სასარგებლოდ შეწირული ფული სულ დაიხარჯა. ერთად ერთი იმედი კერძო ქველ-მოქმედებაა.

**პრეტორია.** ბურების ბანაკს დერდეპულთან შაბათს თ ვს დაესხა ცხენოსანთა ძლიერი რაზმი. ბრძოლა ჯერაც არ გათავებულა. მოკლულ იქმნა საერო კრების წევრი ბარნარდი. დღემდის სულ 5 ბურგერი იქმნა მოკლული და რამდენიმე კაცი კიდევ დაჭრილია.

დელარეი იუწყება, რომ დილით კიმბერლეის დასავლეთიდგან თოფის სროლის ხმა მოისმოდაო.

**დურბანი.** როგორც Natal Mercury“ ს ფრერიდგან დეპეშით ატყობინებენ, ბურები წინანდელს ალაგას კოლენზოსთან უყრიან ჯარს თავს. როგორც ეტყობა, აზრადა აქვთ ინგლისის ჯარს მდინარე ტუგელზედ გადასვლის ნება არ მისცენ.

**ვაშინგტონი.** დღეს სტატს სეკრეტარმა გეიმ, დესპანმა გოლლებენმა და დესპანმა პაუნსფოტმა ხელი მოაწერეს ხელ-შეკრულებას, რომლის ძალითაც შეერთებული შტატები შეუერთდა ინგლის-გერმანიის ხელ-შეკრულებას სამოას შესახებ.

28 ნოემბერი

**ლორენცო მარკეზი.** მეფკინგიდგან იუწყებიან, რომ აქ მშვიდობიანობა არისო. ყუმბარებმა დიდი ვნება მიაყენა ქალაქსა. მონასტერს რვა ჯერ მოხვდა ყუმბარა.

**ლონდონი.** „Morning Post“-ში გამოქვეყნებულია ლედი-სმიტიდგან დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ამ ბოლოს დროს ბურების ყუმბარები უფრო დიდ ვნებას აყენებენ ქალაქს, ვიდრე წინადაო. ლივერპულის რაზმსა და გლოსტერის რაზმს გუშის რვა კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. მოკლულ და დაჭრილ იქმნენ აგრეთვე ბევრი მოქალაქე და ნატალის პოლიციის რამდენიმე კაციც. ბურებს უთუოდ 10,000 კაცი ჰყავთ; ხოლო კოლენზოსთან, როგორც ამბობენ, 15,000 კაცი. ამას გარდა 15 ზარბაზანი აქვთ. ჯარს უფროსობს თვით ჟუბერი.

**პარიჟი.** სოციალისტთა კრებამ გუშინდელს კრებაზედ, 831 ხმის უმეტესობით 461 ხმის წინააღმდეგ, დაადგინა, ვივიანისა და ჟუბერის აზრის წინააღმდეგ, შეუდგნენ იმის განხილვას: მიიღონ სოციალისტებმა მონაწილეობა მმართველ-გამგეობის საქმეში თუ არა.

**მოსკოვი.** დღეს ყველა ეკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისები ხელმწიფე მემკვიდრის და დიდის მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის დღეგრძელობისათვის.

23 ნოემბერი

**პეტერბურგი.** დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრინი ოლგა ალექსანდრეს ასული 22 ნოემბერს გატჩინოში მობრძანდნენ.

**ბელფასტი.** გაზეთ „Bel. Noms Letter“-ს დუბლინიდგან ატყობინებენ, რომ, რადგან ხამხედრო მთავრობამ მეტად საყურადღებო ცნობები მიიღო, დუბლინში ბრძანება იქმნა გაგზავნილი, რომ დუბლინის ოლქის კაზარმებში დარაჯთა რიცხვი გამრავლებულ იქმნას. ხმა დადის, რომ დუბლინში შეთქმულება აღმოაჩინეს, რომელსაც აზრადა ჰქონია აფეთქებით დაემუქრებოდა ყველას, რათა ბურების სასარგებლოდ მეტი ფული მოეკრიბათ.

**კაპშტადტი.** როკშტადტიდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ ბურები ფლეტჩერის მთის მახლობლად ჰნახესო. როგორც ეტყობა, ბურებს აზრადა აქვთ გრიკუალანდეს შეესივნენ.

**ბერლინი.** „Deutserhe Zeit“-ს ლონდონიდგან ატყობინებენ, რომ ორანჟეს მდინარესა, დეაარსა, სტრამბერგსა და ბარკლი-ისტში შუაოლქისა ჰოლანდიელნი აუჯანყდნენ ინგლისსაო. იმ ჰოლანდიელთა რიცხვი, რომელნიც ბურებს შეუერთდნენ ან და ცალკე ომობენ, 8000 კამდეა.

### სოფ. ბახვის (გურიაში) უფასო წიგნთ საცავის ანგარიში 1898—1899 წ.

ეს წიგნთ-საცავი 1898 წლის 8 თებერვალს ჩამაბარეს 45 მ. ვალით. 1898 წელს შემოსავალი იყო 61 მ. 30 კ. ეს ფული ასე შეიკრიბა: შემწეობა აღმოუჩინეს ივ. ბოლქვაძემ და ნატ. პ. ქიქოძისამ ორ-ორი მან., ბახვის შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ 31 მ., გავყიდე დაზგა 14 მ., ხაზინადარმა გადმომცა 12 მ. 30 კ.

ხარჯი იყო 1898 წელს 61 მ. 30 კ, ჟურნალ-გაზეთების დასაბარებელი 13 მან., ფოსტის ხარჯი 80 კ., ფოსტის ბილეთი 1 მან., კალმები და კალმის ტარი 30 კაპ., ქაღალდი და კონვერტები 40 კაპ., გაზეთების დასაკიდებლები 40 კ., შკაფის კლიტე 25 კ., შემოსავალ-გასავალის წიგნაკი 15 კ., ვალი გავისტუმრეთ 31 მ., სამკითხველოსთვის შევიძინეთ 1 მაგიდა და 2 გრძელი სკამი 14 მ.

1899 წელში შემოსავალი იყო 13 მან. 94 კ.: შემწეობა აღმოუჩინეს გ. ინწკირველმა და გ. ქინქარაძემ ორი მან., პ. დოლიძემ 3 მან. 5 კ., მ. ინწკირველმა 1 მ., ხაზინადარმა გადმომცა 5 მ. 89 კ.

ხარჯი იყო 13 მ. 94 კ. ჟურნალ-გაზეთების დასაბარებელი 12 მ., ფოსტის ბილეთი 1 მ., ფოსტის ხარჯი 94 კ.

მადლობას ვუცხადებ „ივერიის“, „კვალის“, „ცნობის ფურცლის“ და „კავკაზის“ რედაქციებს, რომელთაც თავიანთი გამოცემანი უფასოდ დაუთმეს ბახვის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს. მადლობას ვწირავ ყველა იმათ, რომელთაც არ დაიშურეს შემწეობა აღმოეჩინათ ამ წიგნთ-საცავისათვის.

სამკითხველოს გამგედ ყოფილი მ. აბალაძე


## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს საყოველთაოდ, რომ **ქირით იძლევა** ზემო სართული ახლად **შეკეთებულის ქალაქის ქარვასლისა** აბანოების კართან (შიოევისებური ქარვასლა). პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

(3—6.—3)

**ტფილისის ქალაქ ს გამგეობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1899 წლის 1 დეკემბერს **მოხდება საჯარო ვაჭრობა** იჯარით გასაცემად კუკიისა და ავლაბრის იმ აგარაკებისა, რომელნიც ქალაქს ეკუთვნის: სახნავ, საძოვარ და სხვაგვარ მეურნეობისათვის გამოსაყენებელ მიწებისა; ზომით კუკიისა 888 დეს. 1,800 ოთხ-კუთხი საჟ. ავლაბრისა—1829 დეს. 460 ოთხ-კუთხი საჟ. პირობების გასინჯვა გამგეობის კანცელარიაში შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6.—2)

დაიბეჭდა და ისყიდება

გამომცემლის გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში მესამე გამოცემა ბ. ა. ნატროშვილის

**არითმეტიკის პრებულისა**

ეს წიგნი მოწონებული და მიღებულია სამოსწავლო მთავრობათაგან სახელმძღვანელოდ ყველა საქართველოს სასულიერო და საერო პირველ დაწყებითს სკოლებისათვის. ფასი წიგნისა 35 კ.

3—175—3)

გამოვიდა ახალი წიგნი **მ. ჯანაშვილისა**

„Грузинскія обители внѣ Грузіи“.

ფ. 25 კ.

და მისივე **ИСТОРІЯ Груз. церкви.** ფასი 40 კ.

ისყიდება წ. კ. ს. მაღაზიაში.

(7—უ.—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 23 Ноября 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე